განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46² მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხასიათდება სწავლების ხანგრძლივი პერიოდისა და მაღალი საკრედიტო დატვირთვის (არანაკლებ 300 კრედიტი) მოთხოვნით, რაც პრაქტიკაში ამცირებს პროგრამის მიმართ ინტერესს და მის ხელმისაწვდომობას პოტენციური სტუდენტებისთვის. ხანგრძლივი სწავლის პერიოდი და შესაბამისი ფინანსური და დროითი რესურსების საჭიროება მნიშვნელოვნად ზღუდავს აბიტურიენტთა არჩევანს და არ შეესაბამება შრომის ბაზარზე შედარებით სწრაფი ინტეგრაციის მოთხოვნებს.

ამავე დროს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 47² მუხლი არეგულირებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის მომზადებას უფრო მოქნილი და მრავალფეროვანი მოდელის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა შეიძლება ინტეგრირებული იყოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ან განხორციელდეს დამოუკიდებლად, მათ შორის იმ პირებისთვისაც, რომელთაც უკვე აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მასწავლებლის პროფესიის ხელმისაწვდომობას და მიზნობრივი ჯგუფების მოცვას.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46² მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ამავე კანონის 47² მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ერთსა და იმავე მიზანს - მასწავლებლის მომზადებას ემსახურება. მიუხედავად ამისა, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს

სწავლების უფრო ხანგრძლივ და ნაკლებად მოქნილ მოდელს, მაშინ როდესაც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელს ხდის მასწავლებლის მომზადებას უფრო მოკლე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ტრაექტორიების ფარგლებში. ამ პირობებში, ორივე რეგულაციის პარალელურად არსებობა იწვევს ერთი და იმავე ფუნქციის ორმაგ რეგულირებას, რაც არაეფექტიანად იყენებს საგანმანათლებლო რესურსებს და ართულებს მასწავლებლის მომზადების სისტემის თანმიმდევრულ განვითარებას.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ამოღება მიზნად ისახავს მასწავლებლის მომზადების სისტემის ოპტიმიზაციასა და მოთხოვნაზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო მოდელების გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე პოტენციური სტუდენტების ინტერესების უკეთ დაცვას.

წარმოდგენილი კანონპროექტი, ასევე მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩოს დაზუსტებასა და პროცესის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფას. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ აუცილებელია კანონით განსაზღვრული, მკაფიო, დროებითი და მიზნობრივი მექანიზმები, როცა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაცია აუცილებელია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე (სისტემური რეფორმა, აკადემიური და სამეცნიერო ხარისხის გაზრდა, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ეფექტიანობა, სტრატეგიული პოზიციის გაძლიერება საერთაშორისო რეიტინგებში, სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა).

კანონპროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანს ასევე წარმოადგენს, განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, საკადრო პოლიტიკის დახვეწა. ამ მიზნით, წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ჩამონათვალს დაემატება წამყვანი პროფესორის თანამდებობა. კანონპროექტით განისაზღვრება, თუ ვინ შეიძლება აირჩეს ზემოხსენებულ აკადემიურ თანამდებობაზე - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები

წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა) და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს. ასევე, დარეგულირდება აღნიშნული თანამდებობის მქონე პირის აკადემიურ საბჭოში წევრობისა და დეკანის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 16 დეკემბერს შესული ცვლილების (№1198-IVმს-XIმპ) თანახმად, განისაზღვრა, რომ (მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) საქართველოს მთავრობა სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, განუსაზღვრავს მას იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს ამ პირს და ამტკიცებს მის დროებით წესდებას. ამავე კანონის 10[1] მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ფარგლებში. ამასთან მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ საქართველოს მთავრობის აქტით განისაზღვრება, მათ შორის, იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მას.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ფარგლებში. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებსაც ზემოხსენებული დაწესებულებები მიმდინარე ეტაპზე ახორციელებენ და მთავრობის დადგენილებით აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება აღარ ექნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებულ პროგრამებზე უკვე ირიცხებიან

სტუდენტები, აღნიშნული ცვლილების უკვე ჩარიცხულ სტუდენტებზე მასობრივად გავრცელება რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ და გამოიწვევდა დიდი რაოდენობით რიგგარეშე მობილობის განხორციელების აუცილებლობას, რაც შესაძლოა უარყოფითად ასახულიყო სტუდენტების მიერ განათლების მიღების უფლების რეალიზაციაზე. შესაბამისად მიზანშეწონილია, დაწესებულებებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გარკვეული გარდამავალი პერიოდით მილევად რეჟიმში განახორციელონ აღნიშნული პროგრამები, რაც თავის მხრივ, თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს შესაძლებლობას, რომ მოახდინონ ადაპტირება აღნიშნულ ცვლილებებთან და შესაბამისად დაგეგმონ საკუთარი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხასიათდება სწავლების ხანგრძლივი პერიოდისა და მაღალი საკრედიტო დატვირთვის (არანაკლებ 300 კრედიტი) მოთხოვნით, რაც პრაქტიკაში ამცირებს პროგრამის მიმართ ინტერესს და მის ხელმისაწვდომობას პოტენციური სტუდენტებისთვის.

ამასთან, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ერთსა და იმავე მიზანს - მასწავლებლის მომზადებას ემსახურება. მიუხედავად ამისა, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების უფრო ხანგრძლივ და ნაკლებად მოქნილ მოდელს, მაშინ როდესაც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო შესაძლებელს ხდის მასწავლებლის მომზადებას უფრო მოკლე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ტრაექტორიების ფარგლებში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ამოღება მიზნად ისახავს მასწავლებლის მომზადების სისტემის ოპტიმიზაციასა და მოთხოვნაზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო მოდელების გაძლიერებას.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ასევე აუცილებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩოს დაზუსტებასა და პროცესის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკადრო პოლიტიკის სისტემური დახვეწა და აკადემიური მართვის გაძლიერება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კანონით განისაზღვროს ახალი აკადემიური თანამდებობა - წამყვანი პროფესორი, რომლის დაკავებაც შესაძლებელი იქნება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიერ, რომელსაც აქვს არანაკლებ 8 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები. კანონპროექტი ასევე არეგულირებს წამყვანი პროფესორის აკადემიურ საბჭოში წევრობისა და დეკანის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მმართველობის ხარისხის ამაღლებასა და უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას.

ასევე, ვინაიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდს, რომ დაწესებულებებს მიეცეთ შესაძლებლობა, გარკვეული გარდამავალი პერიოდით მილევად რეჟიმში განახორციელონ

ასევე, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ფარგლებში, დღის წესრიგში დგება საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებსაც ზემოხსენებული დაწესებულებები მიმდინარე ეტაპზე ახორციელებენ და მთავრობის დადგენილებით აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება აღარ ექნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებულ პროგრამებზე უკვე ირიცხებიან სტუდენტები, აღნიშნული ცვლილების უკვე ჩარიცხულ სტუდენტებზე მასობრივად გავრცელება რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ და გამოიწვევდა დიდი რაოდენობით რიგგარეშე მობილობის განხორციელების აუცილებლობას, რაც შესაძლოა უარყოფითად ასახულიყო სტუდენტების მიერ განათლების მიღების უფლების რეალიზაციაზე. შესაბამისად, აუცილებელია კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რათა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გარდამავალი პერიოდით მილევად რეჟიმში განახორციელონ ზემოხსენებული პროგრამები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რაც მიზნად ისახავს მასწავლებლის მომზადების სისტემის ოპტიმიზაციასა და მოთხოვნაზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო მოდელების გაძლიერებას.

- უზრუნველყოფილ იქნება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების რეორგანიზაციის პროცესების სამართლებრივი სიცხადე და რეორგანიზაციის პროცესის ეფექტიან და გამჭვირვალე განხორციელება;

- აკადემიური პერსონალის ჩამონათვალს დაემატება წამყვანი პროფესორის თანამდებობა, ასევე დარეგულირდება აღნიშნული თანამდებობის მქონე პირის აკადემიურ საბჭოში წევრობისა და დეკანის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებები. წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე არჩევა შესაძლებელი იქნება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირისთვის, რომლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება არანაკლებ 10 წელია და რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული პროფესიული ან სამეცნიერო მიღწევებით. ასევე დაარეგულირდება წამყვანი პროფესორის აკადემიურ საბჭოში წევრობისა და დეკანის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მმართველობის ხარისხის ამაღლებასა და უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას.

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ შესაძლებლობა, მილევად რეჟიმში კონკრეტული ვადით განახორციელონ ის პროგრამები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით არ იქნება გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებზე უკვე ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ შესაბამისი ვადით გააგრძელონ სწავლა აღნიშნულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამასთან, კანონპროექტის მიღების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ ეტაპობრივად მოახდინონ

ადაპტირება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან და შესაბამისად დაგეგმონ საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს მასწავლებლის მომზადების სისტემის ოპტიმიზაციას, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46² მუხლით გათვალისწინებული ხანგრძლივი, ხუთწლიან ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ამოღებას. ცვლილების შედეგად მასწავლებლის მომზადება ბაკალავრიატის საფეხურზე განხორციელდება, რაც უზრუნველყოფს სწავლების უფრო მოკლე, მოქნილ და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატს.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს გარდამავალ რეგულაციას იმ პირებისთვის, რომლებიც კანონის ამოქმედებამდე უკვე ჩარიცხულნი იყვნენ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ცვლილების შედეგად აუცილებელია მათი სამართლებრივი მდგომარეობის მკაფიო განსაზღვრა, რათა დაცული იყოს სწავლაზე წვდომის უფლება და თავიდან იქნას აცილებული სამართლებრივი გაურკვევლობა. კანონპროექტის თანახმად, აღნიშნულ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა დაასრულონ 2031 წლამდე, ხოლო თუ სწავლის აღნიშნულ თარიღამდე დასრულება შეუძლებელია - ისარგებლონ მობილობის უფლებით.

ასევე, კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება მიიღოს დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება რეორგანიზაციის მიზნები, ფორმა და ვადები, რეორგანიზაციის პროცესის მართვის დროებითი მექანიზმები, აგრეთვე რეორგანიზაციაში მონაწილე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოთა უფლებამოსილებების განხორციელების განსაკუთრებული წესი. ამავე დადგენილებით, რეორგანიზაციის პერიოდში და განსაზღვრული ვადით, შეიძლება შეჩერდეს ან შეიცვალოს კანონით ან/და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებით განსაზღვრული ცალკეული მართვის ორგანოების უფლებამოსილების განხორციელების წესი, თუ ეს აუცილებელია რეორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი უფლებამოსილი იქნება დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი და შექმნას დროებითი კოლეგიალური მმართველი ორგანო - დროებითი მმართველი საბჭო, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოცულობითა და ვადით გადაეცემა აკადემიური საბჭოს და/ან წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებების განხორციელება.

დროებითი მმართველი საბჭოს უფლებამოსილება იქნება დროებითი და მიზნობრივი, გავრცელდება მხოლოდ რეორგანიზაციის პროცესთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებზე და შეწყდება რეორგანიზაციის დასრულებისთანავე ან რეორგანიზაციაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის ორგანოების ფორმირების შემდეგ.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ჩამონათვალში წამყვანი პროფესორის დამატებას, მათ შორის აკადემიურ საბჭოში წევრობისა და დეკანის არჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებების რეგულირებას. წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე არჩევა შესაძლებელი იქნება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირისთვის, რომლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება არანაკლებ 8 წელია და რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული პროფესიული ან სამეცნიერო მიღწევებით.

ამასთან, კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ემატება 89[21] მუხლი, რომლითაც განისაზღვრება, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობა განუსაზღვრავს იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ, მიეცეთ უფლება ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ და რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოხსენებულ ჩამონათვალში, დარჩენილი ვადის მიუხედავად, აკრედიტებულ ან არააკრედიტებულ (ავტორიზებულ) რეჟიმში განახორციელონ შემდეგი ვადების დაცვით:

ა) არანაკლებ 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 2029-2030 სასწავლო წლის დაწყებამდე.
ბ) არანაკლებ 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე.
გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 2028-2029 სასწავლო წლის დაწყებამდე.
დ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 2029-2030 სასწავლო წლის დაწყებამდე.
ე) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა და დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე.
შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება მილევად რეჟიმში კონკრეტული ვადით იმ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭება, რომლებიც არ იქნება განსაზღვრული მთავრობის დადგენილებით.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით იმისათვის, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული, უმაღლესი განათლების რეფორმით

გათვალისწინებული საკადრო პოლიტიკის დახვეწა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დროულად მოხდეს უმაღლესი განათლების სისტემაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებები, ასევე, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების მიმართულებით გათვალისწინებულია - 153.3 მილიონი ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ უმაღლესი განათლების რეფორმა მრავალკომპონენტიანია, რომელიც მოიცავს მათ შორის საკადრო პოლიტიკის დახვეწას, ამ და სხვა მიმართულებით შესაძლოა რეფორმის ფარგლებში საჭირო გახდეს დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობა. 2026 წლიდან დაიწყება კონცეფციის განხორციელების პირველი ეტაპი, რომლის ძირიათადი დაფინანსებაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონში, ხოლო რაც შეეხება მომავალი 3-4 წლის კონცეფციას, მის განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების მოცულობა გათვალისწინებული იქნება შემდგომი/შესაბამისი წლების საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა

მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ის პირები, რომლებიც ირიცხებიან კანონპროექტით გათვალისწინებულ (მუხლი 89[21]) პროგრამებზე მილევადი სახით, ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებენ სწავლას.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 8 სახელმწიფო და 3 კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების სემესტრული თანხა ჯამში შეადგენდა - 654,0 ათას ლარს.

ასევე, პროექტის თანახმად, შემოდის წამყვანი პროფესორის თანამდებობა, რაც იქონიებს ფინანსურ გავლენას უნივერსიტეტებსა და ამ პოზიციებზე დასაქმებულ პირებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს

წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.